დანართი N1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

ვაკანტური პოზიციის დასახელება: იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი

კონკურსის ტიპი: ღია კონკურსი

შრომის ანაზღაურება: 2700 ლარი

ადგილების რაოდენობა: 1

სამსახურის ადგილმდებარეობა: ქ.ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ. N 41

სამუშაო ტიპი: სრული განაკვეთი

ფუნქციები:

- ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
- ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ დავალებებსა და მითითებებს;
- ახორციელებს კონტროლს სამსახურის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებასა და დისციპლინის დაცვაზე;
- ხელს აწერს და ვიზირებას უკეთებს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს, აგრეთვე პასუხისმგებელია მათი შესრულების ხარისხსა და სისწორეზე;
- მაუწყებლის დირექტორის, ხოლო, მოთხოვნის შემთხვევაში მაუწყებელში მოქმედ საბჭოებს, წარუდგენს ანგარიშს სამსახურის საქმიანობის შესახებ და პასუხისმგებელია სამსახურის ეფექტიან საქმიანობაზე, უფლებამოსილებათა ჯეროვან შესრულებასა და დისციპლინის დაცვაზე;
- პასუხისმგებელია მაუწყებელში მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტაციის სწორ და გამართულ შედგენაზე;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ასრულებს მაუწყებლის დირექტორისა და კურატორი მოადგილის დავალებებს.
- შესყიდვების პროცესების ორგანიზება კანონმდებლობის, მაუწყებლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, შესყიდვების განხორციელების თაობაზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადების და ხელმძღვანელობისათვის წარდგენაის კოორდინაცია/კონტროლი;
- შესაბამის განყოფილებასთან ერთად სატენდერო დოკუმენტაციის და ხელშეკრულებების პირობების მომზადება;
- მომწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმებისა და ხელშეკრულებების შესრულების ზედამხედველობა;
- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საჭირო დოკუმენტაციის გაფორმების ზედამხედველობა;

- სასამართლო წარმომადგენლობა
- მაუწყებლის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) სამუშაო გამოცდილება - აუცილებელია იურისტად მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

გ) საოფისე პროგრამების, კერძოდ Microsoft Office Word , Microsoft Office Excel , Microsoft Office PowerPoint- ძალიან კარგი ცოდნა;

დ) ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი - საერთო ან/და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით (არასავალდებულო მოთხოვნა, სერტიფიკატის ქონა ჩაითვლება უპირატესად).

კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი უნარ - ჩვევები:

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;

- დროის ეფექტური მართვის უნარი;

- ანალიზისა და დეტალებზე ორიენტირების უნარი;

- გუნდური მუშაობის უნარი.

საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს შრომის კოდექსი" ;

დ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული “მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“;

ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ვ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;

ზ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

თ) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი

ი) ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება.

კ) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულება.

დამატებითი ინფორმაცია:

კონკურსის მსურველმა დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, განსაზღვრულ ვადაში საკონტაქტო ელ-ფოსტაზე (hr@ajaratv.ge) უნდა წარმოადგინონ:

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- მოთხოვნილი განათლების ან/და სასწავლებელში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამოტივაციო წერილი;
- რეზიუმე (CV);

დაინტერესებულმა პირმა, რომელსაც სურს კონკურსში მონაწილეობის მიღება, გამოსაგზავნ ელ-ფოსტის ((hr@ajaratv.ge) სათაურის ველში (subject) უნდა მიუთითოს იმ სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის და პოზიცი(ებ)ის დასახელება, სადაც სურს მონაწილეობის მიღება;

კონკურსის ეტაპები:

- განცხადების გადარჩევა
- გასაუბრება;

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა: განაცხადებს განიხილავს სპეციალური კომისია, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით ჯამური შეფასების ქულათა სისტემით. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებს მიიღებს განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

განცხადების წარდგენის ვადა: 2023 წლის 22 სექტემბრიდან - 2 ოქტომბრის ჩათვლით.
სამსახურის ადგილმდებარეობა: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41
საკონტაქტო პირი: ნათია ხუნდაძე მობ: 577 23 26 07
საკონტაქტო ელ-ფოსტა: hr@ajaratv.ge